1793 წელს შეუდგენიათ სვიმონ კირვალიძის მიერ ეშიკაღასბაშ (საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში) რევაზ ანდრონიკაშვილისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნი, რომელიც ეგზომ საინტერესოა და ძირად რაჭველ კირვალიძთა საგვარეულოს ისტორიისათვის ძალზედ საჭირო ცნობას შეიცავს (სამწუხაროდ ჩვენამდე დოკუმენტის მხოლოდ რუსულად თარგმნილმა მოკლე ანოტაციამ მოაღწია, საბუთის ორიგინალი კი დაკარგულად ითვლება). საბუთში სოფელ ფხოველის მკვიდრი გლეხი ერთი ვინმე **მედულაშვილიც** იხსენიება:

`მე, იმერელი სიმონ კირვალიძე, გაძლევთ ამ გუჯარს თქვენ ეშიკაღასბაშ რევაზ ანდრონიკაშვილს და ძმისშვილსა თქვენსა მალხაზს (ანდრონიკაშვილი), მასზედ რომ - ჩემი წინაპრები მოსულან და ფხოველს (სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში, არაშენდას თემში) დასახლებულან და მე მდივან ქაიხოსროს (ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი: ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო მოღვაწე, მდივანბეგი, დიპლომატი და მწერალი. გარდაიცვალა 1792 წელს) ვეყმე. შემდგომ ჩემსა და ადგილობრივ გლეხ **მედულაშვილს** შორის მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც მე ის შემომაკვდა. ხელმწიფე განაწყენდა. შემიპყრო, ბორკილი დამადო, ციხეში ჩამაგდო და მიწისა პირიდან აღგვა მომინდომა. მაგრამ თქვენი შუამდგომლობით მეფემ შეწყალება მიბოძა. მსაჯულებმა კი გარდაცვლილის სასარგებლოდ 240 თეთრის გადახდა დამაკისრეს. მე ამ საფასის გადახდის თავი არა მქონდა და ის თანხა თქვენ გადაიხადეთ. მე კი ამისა სანაცვლოდ ჩემი თავი სამუდამოდ თქვენთვის ყმა-გლეხად მომიცია.~

(`Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ~; составилъ: Д. П. Пурцеладзе; Тифлсъ 1882 г; ст. 57. (თარგმანი რუსულიდან ჩვენეულია)).

1907 წელს გაიმართა ჰააგის საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ბევრი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა დადგინდა, რომელნიც აქამომდე ინარჩუნებენ თავის აქტუალობას.

ამ კონფერენციისთვის ქართველმა ნაციონალისტმა და ანარქისტმა, თავადმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა `ქართველი ხალხის პეტიციის~ შედგენა დაიწყო. პეტიცია ბრალს სდებდა რუსეთს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაში, ანექსიაში, 1905-1906 წლებში `პოგრომების~ მოწყობაში გურიის ტერიტორიაზე და ითხოვდა ტრაქტატის მუხლების საფუძველზე საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას.

ამრიგად, 1907 წელს გამართულ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციის განხილვის მაგიდაზე აღმოჩნდა პეტიცია, რომელსაც საქართველოს 3000-მდე მოსახლე აწერს ხელს.

ხელმომწერნი საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სოციალური ფენის წარმომადგენელნი არიან.

მემორანდუმის მთავარი მოთხოვნა საქართველოს ავტონომია იყო.

`... რუსეთის საიმპერატორო მთავრობის მოქმედება შეიქმნა საქართველოს უფლებათა განუწყვეტლივ დარღვევად. ჩვენი, საკუთარი უმაღლესი მთავრობა მოსპეს და მისი ადგილი დაიჭირა რუსულმა ბიუროკრატიულმა და სამხედრო წეს-წყობილებამ. მთავარ-მმართებლის უმაღლეს მმართველობაში ეხლა იმყოფება მხოლოდ ერთი ქართველი შტატის მოხელე-თარჯიმანი~ - ამონარიდი მემორანდუმის ტექსტიდან.

ჰააგის კონფერენციაზე `საქართველოს ხალხის მემორანდუმი~ არ განხილულა და ამას არც მისი ავტორები ელოდნენ. თუმცა მთავარი მიზანი მიღწეული იყო: საერთაშორისო საზოგადოებამ გაიგო რუსეთის აგრესიის შესახებ საქართველოში.

ჰააგის კონფერენციაზე წარდგენილ `საქართველოს ხალხის მემორანდუმს~ ხელს **მედულაშვილთა** საგვარეულოს ღირსეული შვილი გიორგი **მედულაშვილიც** აწერს.

(დოკუმენტის ორიგინალი ინახება ოქსფორდის ბიბლიოთეკაში).